ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 15

ფასი 15 მანეთი

# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 250 მან. თითო ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით; თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წლიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, აპრილის 25 | გამოსვლა 1920 წ.




მიშელ დ' არიალი — ნანობაშვილი
საოპერო მსახიობ-მომღერალი
(მისი გასტროლების გამო სახელმწიფო თეატრში)

E-5 811

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახელოვნო დღიური

### რეჟისორი გვჭირია.

ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა წარმართი ერი რო მონათლეს, ქრისტიანობის დასამკვიდრებლად საგანგებო მოციქული მღვდელმსახურნიც გამოიწვიეს და ეკლესია—ტაძრები ააგეს.

ეს იყო მას ჟამსა შინა!

დღეს არა ნაკლებ წარმართია ჩვენი ერი, ხელოვნების სხივებს მოკლებული.

ეს არა ერთხელ მითქვამს.

საბედნიეროდ, ჩვენი ხალხი შინაგანი ალღოთი გრძნობს ხელოვნების საჭიროებას, აგერ-იგერ სდგება დრ. წრეები, აფიშფიშებენ „თეატრებს“, მაგრამ წმიდა ხელოვნების ცეცხლი მაინც ისე არა ღვივის, როგორც საჭიროა.

ერთი მიზეზი—შესაფერი პიესების უქონლობა, მეორე—დარბაზების სიმცირე, მესამე —უმთავრესად ურეჟისორობა.

წვრილ დაბა სოფლებს რომ თავი გავანებოთ, სხვილ ქალაქებშიც კი არ მოიპოვება რეჟისორი.

და საერთოდ გვყავს-კი რეჟისორი?

მართალია, ერთი უცხო დიდი მსახიობი იტყოდა ხოლმე—რეჟისორი, აი, აქ გულში მყავსო,—მაგრამ ის ჩვენს სცენის მოყვარემსახიობებზე ხომ ვერ ითქმის, რომელთაც, ბევრ შემთხვევაში, გული ნაკლებად აქვთ გამთბარი და, ბევრს მათგანს, ვერც თავი აქვს შესაფერად მომზადებული?

ჩვენი სათეატრო ხელოვნების ამ ნაკლს უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

საჭიროა საგანგებო სარეჟისორო კურსები რეჟისორი წლიური ჯამაგირით დაგულებული. ამ კურსებზე შესაფერად მომზადებული ხალხი უნდა გაიწვრთნას და შემდეგ ყველა დაბასოფელს ანუ ქალაქს პირველ მოთხოვნილებისთანავე გაეგზავნოს.

თუ-კი სხვადასხვა მოხელენი გვყავს, ჯარი, გვარდია, მასწავლებელნი, სხვადასხვა დარგის ინსტრუქტორნი, მილიცია და სხვ., ნუ თუ ასეთივე ყურადღებით არ უნდა მოვეპყრათ იმათ, რომელთაც ხალხი ზნეობაგონებით უნდა აღამაღლონ, განასპეტაკონ და ნამდვილ ოქალაქეებად გადააქციონ?..

საჭირო თანხა ხელოვნების კომისიამ, ერობამ და სხვადასხვა ორგანიზაციებმა უნდა გამოიღონ.

ვინ უნდა მოგვიმზადოს რეჟისორი?

ამისათვის გვყავს თითო-ოროლა მომზადებული პირი, მუსიკოს-მომღერალნი, მხატვარ-მოქანდაკენი და სხ. გარდა ამისა, ამ ჟამად თბილისში ბევრი უცხო ხელოვანია, რომელთა ცოდნით შეიძლება ვისარგებლოთ. მართალია, როგორც დანაელებს, ისე მოსკოველებს ვერ ვენდობით. მაგრამ განთქმულ სამხატვრო თეატრს კი, ხელოვნების ნაწილში, არა თუ ვენდობით, ვეთაყვანებით!.. აი, ყველა ეს ძალიან უნდა გამოვიყენოთ.

### სამხატვრო თეატრი.

განა ენა იტყვის და კალამი აღწერს იმ ხელოვნურ სრულყოფას, რასაც მოსკოველი ხელოვანნი გვიჩვენებენ?

აი. ვის შეუძლიან ამაყად სთქვას: წმინდა ხელოვნების წმინდა ქურუმი ვარო.

სასცენო ხელოვნების რომელ მხარეს აიღებთ, რომ ამ ქურუმთ უმაღლესად არა ჰქონდეთ განვითარებული და სრულქმნილი?! ხმა, გამოთქმა, დროს შესაფერი მორთვაჩაცმა, მიმოხვრა, ღიმილი თუ სიცილ-ტირილი, სახისმეტყველება, შინაგანი განცდა, უსიტყვო თამაში—აი ვისა ჰქონიათ უაღრესად დამთავრებული.

ჭეშმარიტად, მოსკოველ ხელოვანთ ხელოვნების სფეროში ახალი მიმდინარეობა შეიტანეს.

დაე, ეს ახალი ჩვენშიაც ჩამოინერგოს. სალამი და გულითადი მადლობა სასცენო ხელოვნების ამ უმაღლეს ქურუმთ! დაე, ნუ გაჰქრება უკვალოდ მათი ჩვენში ყოფნა!..

### „პოეზიის დღე“.

და ჩვენში რომ ხელოვნებამ მკვიდრი ნიადაგი გაიდგას, მის ერთი უძლიერესი ნაკადიც უნდა გაძლიერდეს.

მე მოგახსენებთ საზოგადოთ მწერლობაზე და კერძოთ პოეზიაზე.

ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ჩვენი ხალხი ბუნებით პოეტია, თვითშემოქმედი და პოეზიის დიდი მოსიყვარულე.

რუსეთის ჩექმის ბატონობა იყო, რომ ჩვენმა ხალხმა მშობლიურ პოეზიის საიდუმლოების შეგნება განცდა დაჰკარგა. ამიტომაც არის, რომ ბოლო დროს ბევრი მკრეხელი „პოეტი“ მოევლინა ჩვენს პოეზიას.

პოეტი არა გულით, გრძნობით, მშობლიურ გულწრფელ განცდით, არამედ ყალბი უცხოური შემეცნებით.

საბედნიეროდ ქართველმა მწერალმა დაიწყო თავისი თავის ძიება. მიაგნებს კიდეც.

ქართველ მწერალთა უკანასკნელმა კონფერენციამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა, როდესაც შეთანხმებითი საბჭო აირჩია, სხვა და სხვა მიმდინარეობის მწერლებით შემდგარი *)

საბჭოს ბევრი საქმე აქვს მინდობილი: ნამდვილი ლიტერატურული ერთდროული თუ დროგამოშვებითი კრებულის გამოცემა, ღარიბ მწერალთა შემწეობა და სხ.

ამისათვის კი სახსარია საჭირო.

სახსარის შესადგენად, ყრილობამ გადაწყვიტა, სხვათაშორის, დაწესებულ იქმნეს „პოეზიის დღე“, რომელიც მთელ საქართველოში გაიმართება მაისს 7.

ამ დღეს გამოვა საგანგებო გაზეთი, მოეწყობა დილა-საღამოები მწერალ-მგოსანთა მონაწილეობით და სხ.

ვისაც სილამაზე—მშვენიერება უყვარს, ვისაც ჩვენი ერის თვითშემოქმედების გაღრმავება სურს, ვინც მშობლიურ დამოუკიდებელ აზროვნების შექმნას ესწრაფვის, შეეცდება ამ „პოეზიის დღემ“ მთელ საქართველოში ღირსეულად ჩაიაროს, როგორც შოთას, აკაკის და ილიას სამეუფოს შეჰფერის.

**იოსებ იმედაშვილი.**

# სახალხო თეატრის ავ-პარში

სახალხო თეატრის გავრცელება და განვითარება საქართველოში დიდი საკულტურო მოვლენაა. დღეს არ არის დარჩენილი არცერთი მნიშვნელოვანი კუთხე, არც ერთი ქალაქი, თუ დაბა, სადაც სახალხო სცენა, თუმცა ღარიბი მოწყობილობით, მაგრამ მაინც მუდმივ მეტყველი არ მოქმედებდეს.

ყველგან—საქართველოს კიდით-კიდემდე—უანგარო მუშაკნი და მსახურნი ხელოვნებისა, მოხალისე სცენის მოღვაწენი დაუცხრომლად მუშაობენ. აშენებენ სახალხო სახლებს, აწყობენ წარმოდგენებს და ჩვენი მშრომელი ხალხის გულში და სულში ანთებენ ლამპარს სიყვარულისას, ძმობა-ერთობისას, აღვიძებენ მიძინებულ გრძობას სათნოებისას და სილამაზის და მშვენიერების გრძნობით ჰქარგამენ მაშვრალთა არსებას.

ყველგან, სადაც არ უნდა მიხვიდეთ: მიყრუებულ სოფელში, თუ ქალაქად, რკინის გზაზე, თუ ჯარში, ქარხანა-ფაბრიკებში, თუ გვარდიაში, ყველგან შეხვდებით ამ ჯგუფებს, ყველგან იხილავთ მათ მუშაობას!..

*) არჩეული არიან (ანბანთა რიგზე): ს. აბაშელი, ილ. ალლაძე, ივ. გომართელი, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. მაყაშვილი, ობოლი მუშა, აკ. პაპავა, ვ. რუხაძე, ტ. ტაბიძე დალ. ჯაფარიძე.

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს ამ მოვლენით. იგი მაჩვენებელია მისი კეთილშობილური სულის მოძრაობისა, იგი ურყევი საბუთია იმისა, რომ ჩვენს დემოკრატიას აქვს ბუნებრივი ნიჭი განათლების და კულტურის შეთვისებაში. სახალხო თეატრი დღეს ჩვენი დემოკრატიის მოთხოვნილებად არის გადაქცეული, მან მთელის თავისი არსებით შეიყვარა იგი.

და შეიყვარა იმიტომ, რომ აქ, თეატრში, ისმენს იგი ცოცხალ სიტყვას, ცოცხალ აზრს ცხოვრების სინამდვილიდან ამოღებული გრძნობით გამთბარს; აქ განიცდის იგი ადამიანის სულის ტანჯვა-ვაებას და სიხარულს, აქ სწავლობს სიყვარულს, თანაგრძნობას მოყვასისადმი.

სახალხო თეატრში იზრდება ჩვენი დემოკრატია სულიერად, ფაქიზდება ზნეობრივად, იწვრთნება მოქალაქობრივად. დიდია მისი როლი, დიდია მისი დანიშნულება და მით უფრო დიდია და ფასდაუდებელი უანგარო შრომა სცენის მუშაკთა.

ეს მუშაკნი, მოხალისენი, იმავე დემოკრატიის წრეს ეკუთვნიან, მისი შვილები არიან, იქვე ტრიალებენ და მოქმედებენ. ამიტომ იქ არ არის ზღვარი სცენისა და მაყურებელს-შორის. იქ სცენის მუშაკიც და მაყურებელიც ერთი და იგივე სულის-კვეთებით არიან შეპყრობალი, ერთი გრძნობით უძგერთ გული.

ამიტომ მათი თანამშრომლობა ნაყოფიერია, უფრო ფაქიზათ ზრდის ხალხის სულსა და გრძნობას, უნერგავს კეთილშობილ აზრებს და აჩვევს თავის-თავისა და სხვის პატივისცემას.

ყველა ეს თვისება აკლია ბურჟუაზიულ თეატრს, სადაც იზრის და სიტყვის მაგიერ ბატონობს ეფექტი. და იგი უფრო გასართობს, მოცლილთა თავის შესაქცევს წარმოადგენს, ვიდრე სულის გაფაქიზებისა და აღზრდის დაწესებულებას.

ამიტომ სახალხო თეატრს, როგორც ჩვენი დროის ეკლესიას, სადაც ადამიანი სულიერად განსპეტაკებისათვის მიისწრაფვის, განუსაზღვრელად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა დაწესებულებას.

თუ ეს ასეა, მაშინ მას, განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება სჭირდება ყოველის მხრით.

ჩვენ ვიცით, რომ ხალხი დიდის თანაგრძნობით ეკიდება მათი დახმარების საქმეს და არ ზოგავს შეწირულებას თვითმართველობათა, ერობათა, კოოპერატივთა და ამხანაგობათა სალაროებიდან, რომ ეს საქმე ჯეროვან ნიადაგზე იქნეს დაყენებული.

მაგრამ მარტო ასეთი დახმარებით საქმე ფონს ვერ გავა.

საჭიროა თვითმოქმედება სცენის მუშაკთა, საკუთარი თაოსნობით გამაგრება სახალხო თეატრის საძირკვლებისა.

ეს კი შეიძლება მხოლოდ იმ საშუალებით, რომელსაც ყველაზე მეტი გასავალი აქვს ჩვენს დროში, და რომელსაც ორგანიზაცია და ძალთა გაერთიანება ჰქვია.

საქართველოს სახალხო თეატრის მუშაკნო, შეერთდით!

აი, ლოზუნგი, აი ძახილი, რომელიც უნდა ესმას დღეს ყველა სცენის მოყვარეს! შექმნა რაიმე კავშირისა, ერთი ორგანიზაციის, სახალხო თეატრის გარშემო—მომენტის მოთხოვნილებაა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ სახალხო თეატრს აქვს თავისი განსაკუთრებული მიზნები და თვისებები, რომე-

ლთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯეროვანი გარკვევა აუცილებელია. საჭიროა შემუშავება ერთგვარი საფუძვლების, რომელზედაც უნდა დაემყაროს სახალხო თეატრის მუშაობა ჩვენში, რომ დანიშნულება შეასრულოს.

ჩვენ კი ვიცით, რომ თუმცა თავგამოდებით სწარმოებს ყველგან მუშაობა, მაგრამ ყველა მუშაობს თავთავის კუთხეში თავისებურად, არ იცის რას აკეთებენ და როგორ აკეთებენ ამ დარგში მისი მეზობლები — სხვა კუთხის სცენის მუშაკნი. არ არის მათ შორის არავითარი კავშირი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთის სისტემატიური დახმარება და მით უფრო რაიმე ორგანიზაციული კავშირი.

ეს გარემოება საზიანოა საქმისათვის და ასეთი დაქსაქსულობა სარბიელზე მუშაობაში სახეიროს არას მოიტანს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა საქართველოს სახაალხო თეატრის მუშაკნი გამოეხმაურონ ერთმანეთს და ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც წამოიჭრება ამ საქმის გარშემო, ერთმანეთს აზრი გაუზიარონ და შეთანხმებულად გაატარონ ესა თუ ის ზომა თავის მუშაობაში.

ამისათვის კი ყოვლად საჭიროა სახალხო თეატრის მოღვაწეებს ჰქონდეთ საერთო ორგანო, სადაც შეეძლოთ მათ თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმა.

ერთადერთი ორგანო ჩვენში, რომელიც ათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა სახალხო თეატრს, არის „თეატრი და ცხოვრება“, რომლის ფურცლები ყოველთვის ღიაა მათთვის.

ჯერჯერობით სცენის მუშაკებმა უნდა ისარგებლონ ამ ჟურნალით და დროებით მაინც ის გაიხადონ თავის ჟურნალად, რომელიც მისცემს მათ საშუალებას ერთმანეთთან დაახლოვებისას.

ამასთანავე ახლავე უნდა შეიქნეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმის შესახებ, თუ რა სახის საერთო ორგანიზაცია, კავშირი უნდა დაარსდეს სახალხო თეატრის მოღვაწეთა შორის, რომ მათი მუშაობა ერთი საერთო გზით იქნეს მიმართული და შეიქმნეს შესაძლებლობა ურთიერთის ყოველგვარი დახმარებისა. უამისოთ ეს დიდი სახალხო საქმე დაიქსაქსება, დაჰკარგავს ხალისს, შინაარსს, ადვილად მობეზრდება ხალხს და ადვილადვე დაიღუპება, რაიც დიდ ზიანს მოუტანს ჩვინს ერს.

ამაში ყველა დაგვეთანხმება

მაშასადამე რაიმე ასეთი ორგანიზაციის შექმნა დასაყოვნებელი არ არის და მაშინ, როდესაც დაარსდება კავშირი, შესაძლებელი გახდება საკუთარი ორგანოს დაარსებაც და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაც.

მინამდის კი შევეცადოთ და გავაგებინოთ ერთმანეთს აზრი „თეატრი და ცხოვრება“ ს საშუალებით, ვისარგებლოთ მისი სტუმართმოყვარეობით და მივაწოდოთ ერთმანეთს ხმა საქართველოს ყოველ კუთხიდან: თუ როგორ სჯობია, რომ მოვუაროთ ჩვენს საყვარელ საქმეს — სახალხო თეატრს.

ქიათურელი მოკეთე.



# ფურცლები

## III

### მხატვრული განცდა

(მოსკოვის სამხატვრო თეატრის დ. სი. ჩეხოვის ალუბლის ბაღი)

ცხოვრება წინ მიდის. მისი საერთო სახის ყოველი ნაწილი განიცდის ცვალებადობას.

ხელოვნება თავისი მრავალფეროვნებით ხატებაა ამ ცვალებადობის დაუდგრომელ პროცესისა.

თეატრი თავისი ფართო ასპარეზით ის ფოკუსია, სადაც თავს იყრის ადამიანთა ერთი-ერთობა და მხატვრულ ფერადებით იშლება.

თანამედროვე სოციალური ატმოსფერა მოშხამულია. ამ ატმოსფერაში ინდივიდუმთა ტრაგიკული კვნესა გულის მომკვლელია.

მაგრამ ზოგჯერ ადამიანში კვნესა გაუგებარია, შეუმსუბუქებელი, თუ ის შეუგნებელია.

და სწორეთ თეატრი ის მაღლობია, საიდანაც გარკვევით იხატება-ისახება, როგორც საერთო საზოგადოებრივი მოძრაობის არანორმალობა, ისე მასში ატომების მგზავსად ადამიანთა ტანჯვაც.

ზოგჯერ ადამიანი განიცდის განუსაზღვრელ უსამართლობას, ეწირება მას. მაგრამ როცა ეს უსამართლობა მხატვრულ ფერადებით მისთვის თვალიხილული ხდება, სევდა უმსუბუქდება.

უაილდი ამბობს: „ხელოვნება ადამიანს სიცოცხლის წამებისგან ანთავისუფლებსო“.

და სწორედ არ შეუძლიან ადამიანმა არ დაივიწყოს „სიცოცხლის წამება“, როცა სახელმწიფო თეატრში. სამხატვრო თეატრის მსახიობთ უცქერის.

ჩვენ ვიცით, რომ ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ დიადია თავისი სოციალური შინაარსით.

მაგრამ გადაჭარბებულიც რომ იყოს, მაინც ვიტყვი: მკვდარია ეს პიესა გარეშე სამხატვრო თეატრის მსახიობებისა.

ჩეხოვი, როგორც შემოქმედი, ყოველდღიურად იცრიცებოდა მწერლობის საკურთხევლის წინაშე.

ის თავისს განცდაში საკუთარ სიცოცხლის დღეებს სანთლად ანთებდა.

იფერფლებოდა იგი, რო მის შემდგომ აზრი მის უკვდავ სახეებად დარჩენილიყო.

და ასეც მოხდა: ხელოვნების მცოცხლებელი მადრევანი, მოსკოვის სამხატვრო თეატრად წოდებული, ეს ჩეხოვის შინაგანი ბუნებაა, მისი ყოველი მოძრაობის სულია, რომელიც წმინდა ნაკადივით დუდუნებს.

სამხატვრო თეატრი — ეს ჩეხოვის მიმკრთალებული სახის ხავერდის ჩარჩოა.

და ეს ჩვენ დავინახეთ აქ, ჩვენს დედა ქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოგონილს. ძალუან საგულდაგულო მეზობელს უთხარი სახნავში მომეხმარე მეთქინ, და ერთი დღის ქირათ ხუთასი მანათი მთხუა, დამამადლა კიდომ ხათრია შენიო. დაგელოცა ღმერთო სამართალი, ამას თუ ხათრი და მორიდება ქვია. ხუთასი მანათი კაცო საფრანგეთის პრეზიდენტს თვეში არ ქონდა და მეზობელი ერთ დღეს ხარის ქირათ მთხოვს. მე საფრანგეთში კი არ ვყოფილვარ მარა რაცხას ბალნები წიგნში პუტუნებდენ და მე ყური მოვკარი.

**პავ.** კი. მარა ბეჟანავ, იგი თუ გეიგონე იმ ბალნებიდან, საფრანგეთის პრეზიდენტს სადილი ან საუზმე რა უჯდებოდა, ხუთასი მანათი რომ ჩალაში გადახთიე იმ კაცს და იგი ჩალა იმ ხარებმა საუზმეთ მიირთვეს და იგიც წუწკათაი, მაშინ არ იცოდი მისი ხარები თავს დეიფასებდა? პრეზიდენტი კი არა, მისი ხარები ახლა მიზდა მამა ღმერთია ძამიავ! ისე პაწე პეწე შიადარე საქმე ერთმანეთს და მაშვინ ბევრი აღარ გაგიკვირდება. რავა! შუმი ყაძახი რომ იყავი და თავადს გუუთანასწორდი, ახლა შენც მოქალაქე ხარ და იგიც. ხო და მაგი თუ კი არ გწყენია და შეიჩვიე, ისე შეეჩვიე იმასაც რომ, მანათი მიოთხეუ კაპეიკათ შესცვალე ისე, რავარც შენ გლეხი მოქალაქეთ შეიცვალე, და მაშვინ მაგი სიძვირე აღარ გაგიკვირდება.

**ბეჟ.** მომიყევი ახლა შენ ოცრობოლდურ!, იგი რაღა საჭირო იყო თვეებს რომ სახელები შეუცვალეთ, ახლა მარტია და თქვენ იძახით აპრილიაო. მაგის სახელის შეცვლა რაღა საჭირო იყო?

**პავ.** მაგი იმიზო რომ ეგება ყანა ადრე დათესო და სულის დასაპურებელი მოგივიდეს, თვარა შენ იძახი ყაძახო ჯერ ადრეა, ჯერ ადრეა და ადამის ქამის მოდულზე თესავ ყანას ივანობისთვეში, მერმე ტირი აფერი მომივიდაო. არ იცი რაფერი მუშები ვართ? ორი საქენი ლობე ქონდა კაცს გასალობავი, იგი არ მიალობა და ორ კვირეს ქე ცო დათესილი ყანა ძაღლსავით ყეფთა ვითამ ღორებს აშინებდა, მარა მაინც აფერი შეეპუა და სიმინდი რაც დაუთესა იგი ყველაი ამოხიკა, წმინდა ბასილის ნაკურთხმა. პატრონს იგი მისაგები დარჩა რომ ძაღლივით ყეფა დეისტავლა. ასეა ჩემო ძამია ბევრში გლახა დროია მარა უფრო მეტში კაი: ზოგში ჩვენ ვართ მტყუანი და ზოგში მთელი ქვეყნის არევა. ისე გულს მაინც ნუ გეიტეხ აქანაი თუ ცხოვრება გეზარება საიქიოს მაინც ძალათი მოაუბე იქნები, თვარა ნამეტარს რომ დაბერდები აქანაიც დეიწყებ ტრაბახს: იმ გლახა და საშინელ დროზე ცოლშვილით დაყურული ვიყავი, მარა მაინც ყოლიფერს გუუძელითქვა. ძველი კაცები რომ იტყოდენ მახსოვრობას: დიდი ბუნტი, პაწე ბუნტი, მზის დაბნელება, ყირიმის ომი, დედუფლის გადავარდნა. ჩვენც ვსთქვათ ჩვენი მახსოვრობა, დევიწყოთ ასე: პირველათ კალამ ორ წელიწადი დიდი ომი ყველაი სახემწიფო რომ ჩხუბობდა. მერმე მაგას მოყვა „შინელობა" ქალიან კაციან. ყველამ შინელი ჩეიცვა. მერმე ბრძოლის ველის მიტიება. ამას დავათქვათ სირბილობიე მერმე საქონლის დატაცება. აგი იქნება „ტაციობიეი" მერმე სახელმწიფოების დაყოფა, ყოველკაცის ბატონობა. დენიკინობა, ბალშევიკობა, რაზბონიკობა, მაშენიკობა, რავიცი კიდომ რამდონი მამაძაღლობა მარა ჩვენში მაინც სიკეთის გამარჯვება. ახლა რომელი მათუსალაი იქნებოდა რომ ამდენი დროის ცვლილება სცოდნოდა. ახლა ეჭვი აღარაა რომ ჩვენი კა მეთაურების წყალობით ბათომს დევიბრუნებთ და იქინეი შენ ქალაქის თაობას მოგცემენ. გამიეჩოვი პაწეს და მერმე კორდანია დაგითმობს მის ადგილს, და შენ იცი რავა მუაწესრიგებ ყოლიფერს ჩემო ბეჟან.

**ათინოგენ წულაძე**

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## რუსულ-ქართული ტეხნიკური ლექსიკონი.

ევროპელი მეცნიერი ტერმინებს ლათინურ და ბერძნულ სიტყვებითა ჰქმნიდა, რადგან სწავლა კლასიკური სისტემისა ჰქონდა მიღებული, და სამეცნიერო ენად ლათინურსა ხმარობდა. ამას ხელს უწყობდა ევროპულ ენების ახლო ნათესაობა ლათინურთან. კლასიკურ სისტემას სწავლისას უკვე ბოლო მოელო თვით ევროპაშიც და ჩვენში ხომ არავითარი საფუძველი არა აქვს არსებობისა. სამეცნიერო ენად ლათინური დიდი ხანია უარყოფილია; დღეს ყველა განათლებული ერი თავის დედა-ენასა ხმარობს და რამდენადაც ნაკლები იქნება ლათინურ-ბერძნულის მცოდნე, იმდენად ძნელი გასაგები გახდება ამ ენებით გამოთქმული ცნებანი და აუცილებელ საჭიროებად გახდება უცხო სიტყვით გამოთქმულ ცნებათა თარგმნა და ეროვნულ ტერმინოლოგიის შექმნა.

მომავალში, შორეულ მომავალში შეიძლება მთელი კაცობრიობა ერთი ენითლა ლაპარაკობდეს და თავისუფლება და თანასწორობა, ძმობა და ერთობა მართლა განხორციელდეს. ამ „მომავლის" მოახლოვება დამოკიდებულია ხალხთა გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე და არა სამეცნიერო ტერმინების ერთნაირობაზე. მარტო ტერმინები კი არა, დღეს რომ მთელი კაცობრიობა ერთ ენას ლაპარაკობდეს, გაუმაძღარი ევროპელი მაინც იმის ცდაში იქნება, რომ ტეხნიკა გაიძლიეროს და სიმდიდრე მოიხვეჭოს, და მშვიდი ჩინელი იმის ცდაში იქნება, რომ თავისი ქვეყანა გაღუვალ კედლებით შემოზღუდოს,—თავი დამანებეთ, თქვენი არც განათლება მინდა, არც უზნეობაო! „მომავლის" მოსაახლოვებლად საჭიროა ხალხთა გონებრივი განვითარება და სრული ზნეობრივი გარდაქმნა; და რამდენად ადვილად შესაგნები ენით მიმართავს მეცნიერება ხალხს, იმდენად მეტად გაუადვილებს მის შეთვისებას და წინსვლას.

უკულტურო ხალხმა რომ სხვისი მიიღოს, სრულიად ბუნებრივია, რადგან თავისი, ნაჭირნახულევი არა ჰქონდა რა და მაშასადამე არც რასმე უარყოფს და ჰკარგავს. ჩვენ კი ამ მხრივ არც ერთ ევროპელ ხალხს არ ჩამოუვუვარდებით არც ხალხის განვითარებით, არც მწერლობით. მანამ მზე განათლებისა აღმოსავლეთით გვინათებდა, ჩვენც იქით გვქონდა პირი და იმისთანა განძით არის შემკული ჩვენი მწერლობა, რომლის დარი ევროპაში არ მოიპოვება; დღეს მზე დასავლეთით გვიბრწყინავს და ჩვენც იქით ვიბრუნეთ პირი, რომ მოწინავე ერებთან ერთად ჩვენც ვიღწოდეთ კულტურის წინსვლაში. მეცნიერება მიზანი კი არა, საშუალებაა ბრწყინვალე მომავლის დამყარებისა და ეს საშუალება ადვილად შესაგნებ, დედაენის სიტყვით უნდა ეძლევოდეს ხალხს და არა უცხო, გაუგებარ სიტყვით, რომლის გასაგებად ლექსიკონები უნდა იხმარონ და განმარტებანი.

ამ მხრივ სრულიად მართალია ტეხნიკური საზოგადოება,—არც ერთი უცხო სიტყვა, ყველა ცნება ქართული სიტყვით უნდა იყოს გამოთქმულიო.

სადავო და სასინჯი თვით ლექსიკონი გახლავთ, ესე იგი ნაყოფი ამ პრინციპისა, სახელდობრ—რამდენად გასაგებია ტერმინი, რამდენად მკაფიოდ გამოჰხატავს საგანს და რამდენად ეთანხმება სიტყვისწარმოება ენის მოთხოვნილებას.

ოდნავ გადასინჯვა ლექსიკონისა ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. წია, აირი, ძალარი, პაისი, ქმოსი, წინადგარი, ნური, რიცხვადი, აგებრი, ნივთგნობა, თბიზომი, თბიდანტი და სხ. ისევე გაუგებარი იქნება ქართველი კაცისთვის, როგორადაც ატომი, გაზი, ალკოოლი, აზოტი, მაშინა, კოეფიციენტი, ნოლი, ნომერი, ორგანიული, ქიმია, ტერმომეტრი, ტემპერატურა.

ლექსიკონის ვრცლად განხილვას არა ნაკლები შრომა დასჭირდება, ვიდრე თვით შემდგენელთ დასდეს, და მეტადრე დრო, რადგან არა გადახინჯვით, არამედ პრაქტიკულად მის ხმარებით დამტკიცდება, რა არის მისაღები, რა არის შესასწორებელი და რა უარსაყოფი, მით უფრო რომ უნივერსიტეტი გვაქვს და ლექციებს ქართულად გვიკითხავენ.

ვერ აკმაყოფილებს ლექსიკონი სიტყვის წარმოების მოთხოვნილებასაც. მაგ. аспаражиновая кислота თარგმნილია სიტყვით „თაცურჭანგი“, რომელიც უნდა შეიცავდეს ორ ცნებას, სატაცურს და ჭანგს და არა ტაციაობის და ჭანგს. Вата თარგმნილია სიტყვით ბამბი, როდესაც ხალხი ხმარობს სიტყვას „ბაჭბა“ და ხმარობს სრულად საფართლიანად: ძველად იყო დანაკი, მუშაკი, დაშნაკი, ბამბაკი. შემდეგში ამ სიტყვებს უკანასკნელი ორი ასო მოეკვეცა და დარჩა დანა, დაშნა, ბამბა და არა დანი, დაშნი, ბაჭბი. თვით სიტყვა ლექსიკონი შეცვლილია „სიტყვარად“. „ლექსიკონი“ უკვე მიღებულია ხალხისგან, უკვე გაქართულებულია და იმის სამაგიეროდ ახლის შემოღება მარტო იმიტომ, რომ ოდესღაც ბერძნული ყოფილაო, უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს; ჩვენი ალო, გორგალი, კიდობანი ბერძნულშიც აგრევე ითქმის, მაგრამ ამ სიტყვების ჩვენი ენიდან განდევნას არავინ იფიქრებს. ეგეც რომ არ იყოს, ბერძნულია მართლა ეს სიტყვები, თუ ჩვენგანა აქვთ ბერძნებს მიღებული? ქართველი იმ დროს მისდევდა ხვნა-თესვას, როდესაც ბერძნისა ჯერ ხსენებაც არსად იყო; ხვნა-თესვას მისდევდა და მაშასადამე ალოცა ქონდა, პურიც და კიდობანიც. ავიატორი თარგმნილია სიტყვით „ფრენოსანი.“ სიტყვებში ცხენოსანი, ქუდოსანი, მშვილდოსანი ყიშნად რაიმე ნივთიერი საგანია აღებული, არსებითი სახელი, და არა ზმნა; თუ ითქმის ფრენოსანი, მწერლის წილ უნდა ვთქვათ წეროთსანი და მღერლის წილ მღეროსანი. „წინსვლა“ ყოველთვის პროგრესს არა ნიშნავს, როგორადაც უკანსვლა რეგრესსი არ იქნება.

შვიათება თურმე გაიშვიათებას ნიშნავს, განხილადი—განსახილველ საგანს, მხილარება—რევიზიას, მანახლი—გამაახლებელს, თვითრთია—თვითმრთავს, თვითმრთველს... ეს ახალი ქართულია და, ვიმეორებთ, დრო და ლექსიკონის საჭიროებისამებრ ხმარება დასდებს მას საბოლოო მსჯავრს, სიტყვა ასანთი (წუმწუმა, პწკირა, ალმეტი) ამ 30 წლის წინად იყო თქმული, მაგრამ სრული გამარჯვება მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ეღირსა.

**ი. მაჭავარიანი**





**ქართულ კლუბში** მარტის 23 სტუდიელების მიერ მ. ქორელის რეჟისორობით დაიდგა „ივერიძის ოჯახი“, პიესა გად. ვ. გუნიასი. თუმცა საზოგადოება ძალიან ნაკლები დაესწრო, სტუდიელებმა გული არ გაიტეხეს და შეფერებული კარგი თამაშით მოლოდინს გადააჭარბეს. საზოგადოების ყურადღება ანსამბლმა მიიპყრო. პირველ რიგში აღსანიშნავია სტუდიელი ვასაძე. მან უნაკლულოდ გადმოგვცა გახრწნილ ახალგაზდას როლი. კეკლუცი გიმნაზისტკები იყვნენ ა. ქიქოძისა და ანჯაფარიძისა. გაგვაკვირვა ციმაკურიძის ასულმა მახინჯის როლში. მ. გელოვანი რა როლშიც გამოვიდეს, ყველგან შეაქვს მრავალფეროვნობა. არა უშავდა მ. ჭიაურელს გიმნაზიელის როლში, მხოლოდ ამ როლისთვის საჭიროა მეტი ბუნებრივობა. ანეტა ქიქოძისა დამახასიათებელ როლებში შეუდარებლია. გამრეკელის ასულმა ნაზად გადმოგვცა გაუბედურებულ ობლის როლი. მოხუც ქალების ამსრულებელნიც სუსტობდენ. საერთოდ წარმოდგენამ დიდი მადლობა დაიმსახურა და ყველა ზემოჩათვლილი პირნი მ. ქორელის მეთაურობით, თუ განაგრძეს აგრე მუყაითი მუშაობა, შეიძლება ითქვას რომ პირველ ალაგს დაიკავებენ ქართულ სცენაზე. არა სჯობია დემოკრატიას შეძლება მიეცეს ამნაირ ნამდვილ ხელვანთა წარმოდგენებით დასტკბეს, ვიდრე „კამორა“ და სხვა გადარჯულებული ოპერებით ვითომდა გართობით?

**ჯან!**

——

**საარტისტო სა. თეატრში** აპრ. 4 ქართულმა სტუდიამ მ. ქორელის რეჟისორობით დაიწყო სეზონი „მედეათი. ნინო ჩხეიძემ მედეას შვენიერი ასრულებით საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. მართალია მესამე მოქმედებაში დააკლდა ტემპერამენტი, ზოგან ერთფეროვნობა შეჰქონდა, სამაგიეროდ უკანასკნელ მოქმედებაში როლში შევიდა და მთლიანად გადმოგვცა კოლხეთის მეფის ასულ მედიდურ მედეას ტიპი ნინო ჩხეიძე მედეას საუკეთესო ამსრულებელია, არა თუ ჩვენში, შეიძლება ითქვას არც რუსულ სცენაზე ჰყავს მოციქლე.

ნაზად ჩაატარა მეფის ასულის როლი ა. ჩხეიძის ასულმა, ხოლო მეორე მოქმედებაში საჭირო იყო მეტი დრამის გამოხატვა, როდესაც მედეა ეუბნება თავის სახელს. არა უშავდა ეპიტაშვილის ასულს. მეფის ამსრულებელი ფრონისპირელი კრიტიკის გარე იყო. ფრონისპირელი მეფე უფრო მწყემსს მოგაგონებდათ, ვიდრე ანტიურ ქვეყნის მეფეს. სარაულმა საშუალოდ გადმოგვცა თავის როლი. ვასაძემ ღირსეულად ჩაატარა იასონის როლი. დეკორაციები ძალზე შეუფერებელი იყო და ანტიურ ილიუზიას სრულიად არ ქმნიდა. საზოგადოება მრავალი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

**ჯილალი.**

——

**სახალხო სახლში** აპრ. 20 პირველად წარმოადგინეს კ. გერგესელის ახალი ორიგინალური პიესა „ნილაბ ქვეშ“. პიესის მთავარი ქვანძი მშვენიერია, თუმცა ძველი, ჩარჩო ახალია, თანამედროვე. აქ ბურჟუაზიულ—მეშჩანური

ეროვნული ბიბლიოთეკა



და დემოკრატიულ-რევოლიუციონური რწმენა მისწრაფებანი ერთმანეთში გადახლართული. მოტყუებულ ქალისგან ბავშის ქუჩაზე გადაგდება გახრწნილი ოჯახი და და-ძმის ურთიერთი ცოდვა — ძველი თემაა; მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ავტორმა კ. გერესელმა ეს თემა ისეთ ფერებით ჩამოაქანდაკა, რომ საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა და ეს პიესა სახალხო თეატრის რეპერტუარს კარგა ხანს დაამშვენებს. პიესა კარგად იყო მომზადებულ-დადგმული და სრულის ანსამბლით ჩაატარეს: სცენის მოყვარეთ ზედ მიწევნით შეესწავლნათ ტიპები: გ. თაზიშვილი (პოლკოვნიკი როსტ.) ვ. მარგველაშვილი (მარო), ა. მეტრეველი (სიმონ) ნ. ჭანკვეტაძე (კოტე) და ი. მინდიაშვილი (ბეგლარ) ღირსეულად ასრულებდა ნაკისრ როლებს. იანქოშვილის ასულს მძიმე როლი (ნინო) ეკისრნა, მაინც სიძნელე სძლია, — თუ იბეჯითა, სასარგებლო ძალა შეიქმნება სახ. სცენისა ას. ხამაძეს (ილო) თუმცა ანსამბლი არ დაურღვევია, მაინც სტუმარივით გრძნობდა თავს. პიესა ხალხს მოეწონა და ავტორიც გამოიხმო.

პიესის ენას აგერ-იგერ გაშალაშინება ეჭირვება, უფრო დამუშავება და გასუბუქება. ხშირია გრძელი წინადადებანი და უცხო გამოთქმანი, აგრეთვე არა ქართული, მაგ. უჯვარდაუწერლოდ და სხ.

ჩვენი ახალგაზრდა ავტორი თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს დრამატურგიაში. ვუსურვებთ წარმატებას **უსავანო**

---

**ზუგდიდის** სცენის მოყვარეთა წრემ მუშაობა გააცხოველა. წრე შეივსო ახალ სცენის მოყვარეებით და წესდებაც ახალი მიიღეს. წარმოდგენები ჯერჯერობით ისევ მუშა-მოსამსახურეთა კლუბში იმართება კვირაში ერთხელ. ესწრება აუარებელი ხალხი. წრის ხელმძღვანელად არჩეულია სამი კაცი: მ. კოპახიძე, კ. ბუკია და ირაკლი ბოხუა. აღდგომის კვირაში გაიმართა „გორელების კვირა“ (სამი წარმოდგენა და სხვადასხვა გასართობები მთელი კვირის განმავლობაში) საერთო შემოსავალი უდრის დაახ. 50000 მ. „გორელების კვირის“ გამართვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მანია გვიჩიას, პეტ. მეუნარგიას, კაჭუ ჩიქოვანს, სიმონ ცანავას, კირ. ვეკუას, ვალ. ჯალაღანიას, სერ. ელიავას, შურა პატარაია და სხ.

გორელების კვირა გამართა ცენტ. პროფ. კავშირის ალმასრ. კომიტეტმა და მუშა-მოსამსახურეთა საკრებულოს გამგეობამ, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან. ვუსურვებთ წრეს მხნეობასა და უფრო ნაყოფიერ მუშაობას. **ბია**

**ნაძალადევის მუშათა კლუბში** აპრილის 13 თბილისის კვანძის რკინის გზელთა სცენის მოყვარეთა წრის მიერ შ. ბერიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქმნა ნ. ცხიაურელი კომედია „მაწანწალა სამოთხეში“ — 3 მოქმედებად. საერთოდ მწყობრად ჩაიარა, რაც ამტკიცებს რეჟისორის ენერგიულ მუშაობას პიესის მომზადებაში. აღსანიშნავია უმთავრეს როლის (მაწანწალა იეპპე) აღმასრულებელი გ. პავლიაშვილი. მან ბუნებრივად დაასურათა ჭკუა მოკლე გულ-უბრყვილო ადამიანი, რომელმაც წუთით ხელთ იგდო ძალა-უფლება და დესპოტად გარდაიქმნა. მისმა ნიჭიერმა თამაშმა საზოგადოება მეტად ასიამოვნა. თავის ადგილზე იყო ქ-ნი გარეკახელი (ნილლა) და ჩვეულებრივ ცოცხლად ჩაატარა თავისი როლი. ტიპიური მედუქნე იყო გ. სვანიძე დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდენ. წარმოდგენის სრულიად უნაკლოდ ჩატარებას მეტისმეტად ხელს უშლიდა სცენის სიღარიბე დეკორაციებისა და რეკვიზიტის მხრივ. ნუ თუ არ მოხერხდებოდა, რომ მეორე მოქმედებაში მდიდრულად მორთულ საუზმის მაგიდაზე ორიოდე ბუტერბროდის გარდა დაელაგებინათ სხვა კიდევ რამ. ანტრაქტები ჩვეულებრივად გაჭიანურდა, რაც აიხსნება დეკორაციების უქონლობით და უვარგისობით. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ წვრილმან ნაკლს. ნუ გვავიწყდება, რომ ნაძალადევის მუშათა რაიონს, რომელიც ავანგარდია თბილისის პროლეტარიატისა, ეს ერთად ერთი კულტურული გასართობი აქვს და აგრეთვე არ აქვს საშუალება დასტკბეს მდიდარ სანახაობებით სახელმწიფო და სხ. თეატრებში.

თეატრი ჩვეულებრივ სავსე იყო ხალხით.

— 14 აპრილს დილით წარმოდგენილ იქმნა იგივე პიესა იმავე შემადგენლობით უფასოდ ბავშთათვის. ნამეტნავად ასიამოვნა ჩვენი მოზარდი თაობა გ. პავლიაშვილის მოხდენილმა თამაშმა. მათ აპლოდისმენტებს და აღტაცებით ყრიამულს საზღვარი არა ჰქონდა. **გუ ლი**

---

**ტრამვაის მუშებმა** მოკლე ხანში არარაისგან სასახელო და დიდი სასარგებლო საქმე შექმნეს: მუშა ხოჯაევისა და სხ. ორიოდე მუშის თაოსნობით შარშან გაგრის ფრონტზე სცენის მოყვარეთა წრე შესდგა. ამ წრემ თბ. ტრამვაის პარკის ბაღში მოაწყო კოპწია სცენა და დაიწყო წარმოდგენები. გასულ კვირას, აპრ. 18 დაიწყო საზაფხულო სეზონი. წარმოადგინეს „რაც გინახავს — ვეღარ ნახავ!“ წარმოდგენის დაწყებამდე, საგანგებოდ მოწვეულმა იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა „ხელოვნება და „რაც გინახავს — ვეღარ ნახავ!“-ის მნიშვნელობა.“

შემდეგ წარმოადგინეს „რაც გინახავს — ვეღარ ნახავ“! ამისთანა სიცოცხლით სავსე, ანსამბლით სრული და მოხდენილი წარმოდგენა იშვიათად გვინახავს: თითქო ყველა ურთიერთს ეჯიბრებოდა პიესა ლამაზად ჩავატაროთო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ხელს უშლიდა. გარდა იმისა, რომ სცენა ღია ცის ქვეშაა მოწყობილი, ბევრი ხელსაწყო აკლიათ, ზოგი ახლად ან მეორედ იყო გამოსული, წარმოდგენამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მონაწილეობდენ: ქ-ნი ჩარკვიანი (კატინე) არჯევანიძე, თვარაძე და სხ: ბ-ნი ხოჯაევი (გიგუა) ალ. ხავთასი (ფიჩხულა) მ. წერომე (სოსანა), ჩუხრუკიძე (საქუა), მ. გიორგაძე (კოხტაია), წითლიევი (დავით), გალუსტოვი (მოურავი), თარგამაძე (ზაქ.), მ. ნარიმანიშვილი (ილო) და სხ. კილო, მიხვრა-მოხვრა, ჩაცმულობა და გრიმი ყველას შესაფერი ჰქონდა. ლექტორი და ყველა მონაწილენი ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. დასასრულ იოსებ იმედაშვილმა სცენის მოყვარეთა წრეს მადლობა გადაუხადა ხელოვნების ასეთი ბეჯითი, გულწრფელი სამსახურისთვის და ტრამვაიელთ მოუწოდა: ყოველივე იღონეთ თქვენი მდგომარეობის შესაფერი თეატრი ააშენოთ და საერთოდ ხელოვნების აღორძინებას ხელი შეუწყოთო: ის მუშები, რომელთაც თვის მკერდით ნიკოლოზის კედლის შენგრევაში უპირველესი მონაწილეობა მიიღეს, თვისი ერთსულოვნობით ძველი რეჟიმის ბატონ-პატრონთ არა ერთხელ დასცეს შიშის ზარი და ბოლოს სამარეც გამოუთხარესო, თეატრსაც სულ ადვილად ააგებენ თუ მოიწადინესო. ამ განცხადებას დამსწრენი ტაშით შეხვდენ.

დაესწრო აუარებელი ხალხი, უმთავრესად მუშა-მოსამსახურენი ოჯახობით, შორეული უბნებიდანაც კი. ტრამ-

ვაიელ მუშათა თავაზიანობა იქამდე მისულა, რომ წარმოდგენის შემდეგ საგანგებო ვაგონებს უშვებენ ყოველ მიმართულებით, რაც ხალხს დიდს სამსახურს უწევს.

ტრამვაიელთა ასეთ მუშაობას ქალაქმა და სხვ. დაწესებულებებმა აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ შესაფერი თეატრის ასაგებად. *)

**ძველი მუშა**

— —

**ს. ხაშმის თეატრში** კვირას აპრილის 18 ადგილობრივმა ახალგაზდათა სც. მოყ. დასმა წარმოადგინა ალ. ყაზბეგის 3 მოქ. დრამა „არსენა". მიტო კოშორიძეს გარსევანის როლში მეტიმოეთხოვებოდა. იგი მოგვაგონებდათ უფრო ახალგაზდა აშიყს. გარსევანი უფრო დარბაისელი ძველებური თავადი უნდა ყოფილიყო. ტასო ხაბაზიშვილი სიდონიას როლში კარგი იყო. სვ. ქოქრაშვილს ოთარამის როლი არ შეეფერებოდა: ვანო ლაღიძეს არსენას როლი არ შეეფერებოდა, მაგრამ მან ღირსეულად შეასრულა. დავით ნახუცრიშვილმა სირაჯის როლი მოხდენილად განსაახიერა: მან ნამდვილი ტიპი წარმოგვიდგინა. ასეთ როლებში იგი ძლიერია. ქეთო ლაღიძე ნინოს როლში კარგი იყო. მესამე მოქმედებაში განცდა აკლდა.

გაიოზ ნახუცრიშვილი თედოს როლში მოისუსტებდა: არავითარი დიქცია, არავითარი მიმიკა მას ხელს არ უწყობდა. გოგია კოშორიძე ზაქროს როლს კარგად ასრულებდა. საზოგადო გლეხურ როლებს იგი მუდამ კარგა ასრულებს. იოს. მეხაშიშვილს ნათლიმამის როლში არა უშავდა. დანარჩენნი საერთო ანსამბლს ხელს უწყობდენ. დარბაზი სავსე იყო, ხალხი ნისიამოვნებით დაიშალა. შემოსავალი გადაეცა თეატრის ფონდს. აქაურ ახალგაზდობას ნიჭიც და უნარიც შესწევს, მაგრამ საქმის კარგად სვლას ხელს უშლის სცენის მოუწყობლობა.

**შა—ლი**

— —

**თბილისის ფოსტის კანტორის დარბაზში** კვირას, მარტის 28 თბ. ფ. მომღერალ-მგალობელთა გუნდის თაოსნობით იყო გამართული საღამო კონცერტი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა: 1, „ოქარა", დრ. 1 მ. აპოთეოზით ს. ილორელისა. პიესა მეტად შინაარსიანი გამოდგა. დამსწრე საზოგადოებამ ავტორი ვაშა-ტაშით დააჯილდოვა, 2, „პარტია პურტია", ვოდ. 1 მოქ. დარაშვილისა. პიესა მეტად მხიარულია, მხოლოდ ძალიან ჩამოგავს „ტიმოთეს ლელვს." 3, გუნდი, ტრიო, დუეტები და სხ... შემოსავალი 12000 მ. ხარჯების გამოკლებით დარჩა 7500 მ. რაც დანიშნულებისამებრ გადაეცა.

**დუხიკო**

— —

**ბალეტის მასწავლებელ როინიშვილის** კონცერტსაღამომ ქართულ კლუბის დარბაზში მარტის 28 საინტერესოდ ჩაიარა. შვენივრად ასრულებდენ პლასტიკის და ბალეტის ნომრებს როინიშვილის ქართველი მოწაფენი. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ პლასტიკა ბუნებრივად უცხო ხელოვნება არ არის ქართველ ხალხის. სასურველია ხშირი ამნაირი კონცერტ-ბალეტების გამართვა. საზოგადოება ნაკლები დაესწრო, რადგან ადგილების ფასი ძვირი იყო.

**ბარიტონ**

*) როგორც გადმოგვცეს, მეორე მესამე დღეს ტრამვაიელ მუშათა კავშირს თვისი მცირე თანხიდან 20000 მ. გადაუდვია ამ საქმისთვის. საჭიროა სხვათა დახმარებაც.

**რედ.**

**ქ. გორში** აპრ. 15 ა. წ. ადგილობრივ სახალხო გვარდიის ბინაზე გამართულ იქმნა უფასო საღამო. სცენა მომზადებული იყო გვარდიელების მიერ ლაშქრულად კარვებისაგან. წარმოდგენილი იქმნა: „ნამუსიანი ხალხი" ვოდ. 1 მოქ. ი. იმედაშვილისა; „ტიმოთეს ლელვი" ვოდ 1 მოქ. გრიშაშვილისა და ბოლოს საღამო დაამთავრა სახალხო მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა, რომელმაც არც ამ შემთხვევაში დაივიწყა დანგრეული გორი. ხალხი შესაფერისად დაესწრო. ეს პირველი საღამოა გორის დანგრევის შემდეგ და ამ პირველი საღამოს მომწყობათ ითვლება სახალხო გვარდია, რომელმაც თავის მოვალეობასთან ერთად არ დაივიწყა ადამიანის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მადლობა დაიმსახურეს ადგილობრივმა სახალხო გვარდიის შტაბმა, დაუვიწყარმა მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა, რომელმაც თავის დასწრებით მონაწილეობა მიიღო საღამოში, აგრეთვე მომქმედთა პირებმა პიესებში, რომელთაც შესაფერისად შეასრულეს თავის როლები მცირე ნაკლის გარდა, რაიც საპატიებელია ამ პირველ შემთხვევაში, და საღამოს გამგემ გ. მინაზაროვმა იმ შრომით, რაც მან გასწია ამ საღამოს მოწყობისთვის. სასურველია ამისთანა საღამოები გაიმართოს ყოველ კვირეულად, რითაც ისედაც სტიქიისაგან დაჩაგრულ ხალხს მოუტანს სულიერ საზრდოს.

**იასონი**

## პირველი მაისობა

პირველი მაისის გადახდას დიდის ამბით აპირებს თბილისის მშრომელი ხალხი. ამ დღეს ყოველგვარი მუშაობა დაუქმდება. ამავე დღეს გაიღება ნაძალადევის თეატრი (მუშათა კლუბი პლეხანოვის სახელისა).

— —

## შემოწირულება

(ძველი სია)

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებ"-ს ფონდის გასაძლიერებლად: ივ. (ახო) ვაჩნაძისაგან —2000 მ., 10 წ. შესრ. სახ. ქართ კლუბისაგან—2000 მ., იოსებ ყაჭიეიშვილისგან—500 მ., საქართველოს კოოპერატივთა კავშირისაგან—2000 მ., კოკშის სცენის მოყვარეთაგან პ. მეუნარგიას ხელით—500 მ., ვარლ. ახკლედიანის, ვარდ. ავალიანის და ვასილ თურაბელიძისაგან წვრილ-წვრილად —3000 მან.

რედაქცია შემომწირველთ გულითად მადლობას უძღვნის.—დანარჩენ შემომწირველთა ვინაობას შემდეგ დავბეჭდავთ.

**რედ.**

**ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი**

**№ 2 „პარნასი" № 2**

გამოვა ამ მოკლე ხანში

მონაწილეობას იღებენ: **გ. ტაბიძე, მ. ბოჭორიშვილი, ი. მოსაშვილი, კ. ებრალიძე, არ. გაბუნია, შ მეფანდურე. ამარი, მ. ბრონშტეინი, შ. გომართელი, არ. მაჭავარიანი კ გერგეხელი, ლ. პარნასელი, ლ. ძიძიგური, არიმანი, კ. რატიშვილი და სხ.**

ხუდ —მ. თოიძე

რედაქტორი შალვა მეფანდური.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი** გამოცემა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა.

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.